## „TastyBites“ - გახმაურებული კრიზისი

„TastyBites“ სწრაფი კვების რესტორნების უმსხვილესი ქსელია მსოფლიოში. კომპანია 1930 წელს საფრანგეთში დაარსდა და მას შემდეგ 110 ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის, საქართველოშიც.

ცოტა ხნის წინ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „TastyBites“-ში საკვებში აერობული მიკროორგანიზმები გამოვლინდა.

უწყების ცნობით, ლაბორატორიიდან მიღებული დასკვნის თანახმად, გამოვლინდა მიკრობიოლოგიური დარღვევები. კერძოდ, საკვები დაბინძურებული იყო მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმებით;

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საკვები ობიექტის შემოწმება გადაწყვიტა კლინიკურად დადასტურებული საკვებისმიერი ინტოქსიკაციის ჯგუფური შემთხვევის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე. სააგენტოს თანახმად, ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ შვიდმა ადამიანმა საკვებად მიიღო “TastyBites“-ის მიერ წარმოებული შაურმა.

საკვებისმიერი მოწამვლა არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია დაბინძურებული სურსათის მიღებით, უმეტეს შემთხვევაში, სურსათი დაბინძურებულია ბაქტერიებით ან ვირუსებით.

აღნიშნული ინფორმაცია მსოფლიო პრესის ყურადღების ქვეშაც მოექცა და მრავალი საერთაშორისო პრესის პირველ გვერდზეც აღმოჩნდა, შესაბამისად, მსოფლიოში ჯამურად კომპანიის მომსახურება 30%-ით შემცირდა, ხოლო საქართველოში 60%-ით.

---

**ქეისის განხილვა** (მაქსიმალური ქულა 60), **პრესრელიზის მომზადება** (20 ქულა) და ოფიციალური პირის **საჯარო გამოსვლისთვის ტექსტის აგება** (20 ქულა).

დავალების მიზანია შეაფასოს თქვენი შემოქმედებითი აზროვნება, ლოგიკა, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, პროფესიული თემების მიმართ ინტერესი, ორგანიზებულობა, ქართულ და ინგლისურ ენებზე წერის უნარები.

თითოეული დავალების პირობა და  შეფასების კრიტერიუმები:

1. შეიმუშავეთ კრიზისული სიტუაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის გეგმა მოცემული ქეისისთვის <u>საქართველოში</u> (500-550 სიტყვა, არანაკლებ 2 გვერდი).
   წერისას შეგიძლიათ დაამატოთ ნებისმიერი ტიპის იმიტირებული ინფორმაცია (მაგალითად, ვერ ამოწმებთ რაიმე სტატისტიკას, ან ციტატას, ან ფაქტს, შეგიძლიათ მაინც დაწეროთ).

   დავალების მაქსიმალური ქულაა 60, უნდა შეასრულოთ ქართულ ენაზე და ასახოთ შემდეგი საკითხები:

   a. რა იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის კრიზისული სიტუაციის კამპანიის პირველი ნაბიჯები? რა არის კამპანიის მიზანი? (15 ქულა)

   b. ვინ იქნებიან კამპანიის სამიზნე ჯგუფები? (10 ქულა)
      *ჩამოაყალიბეთ სამიზნე ჯგუფების ასაკობრივი კატეგორია, სოციალური სტატუსი და სხვა საჭირო მაჩვენებლები.*

   c. რა იქნება კამპანიის მესიჯი (გზავნილი)? რომელ მედია არხებს გამოიყენებთ ამ მესიჯების გასავრცელებლად? (15 ქულა)
      *მარტივ, გასაგებ ენაზე ააგეთ ისეთი მესიჯები, რომლებიც თქვენი სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის იქნება გასაგები.*

   d. რა ღონისძიებებისაგან-აქტივობებისაგან შედგება კამპანია? (15 ქულა)
      *ჩამოთვალეთ აქტივობები და განმარტეთ, რატომ იყენებთ აქტივობების ამა თუ იმ ფორმატს.*

   e. რა მედიასაშუალებებს გამოიყენებთ კამპანიის მესიჯის გასავრცელებლად? (5 ქულა)
      *გამოიყენებთ სოციალურ მედიას, ტელევიზიას, ბეჭდურ მედიას და რატომ?*

**როგორ შეფასდებით?**

0 ქულა - დავალება არ შეასრულა;

4 -16 ქულა - დავალება შეასრულა ძალიან ცუდად;

17-27 - ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნების მინიმალურად გათვალისწინებით;

27-38 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის მხოლოდ ნაწილობრივი დაცვით;

39-49 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის უმეტესი ნაწილის დაცვით;

50-60 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის სრული დაცვით.

2. **პრესრელიზის მომზადება:**

დავალების მაქსიმალური ქულაა 20. ტექსტი უნდა იყოს მაქსიმუმ 150 სიტყვიანი და უნდა დაწეროთ ქეისში განხილული საკითხის ირგვლივ პრესრელიზი.

პრესრელიზის მიზანია, რომ გამოეხმაუროს ქეისში განხილულ კრიზისულ სიტუაციას, მედიის წარმომადგენლები მოიწვიონ პრესკონფერენციაზე და 5W 1H კითხვებს სცემდეს პასუხს.

3. **საჯარო გამოსვლის ტექსტის აგება:**

დავალების მაქსიმალური ქულაა 20. ინგლისურ ენაზე დაწერეთ კრიზისის შემდეგ პირველი საჯარო მიმართვის ტექსტი, რომელსაც ორგანიზაციის დირექტორი გააკეთებს. ტექსტი უნდა იყოს 200-250 სიტყვიანი (დაახლოებით 1 გვერდი) და შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, საკითხის დასმა, არგუმენტების მოყვანა, დასკვნა.

**როგორ შეფასდებით (მე-2 და მე-3 საკითხები)?**

0 ქულა - დავალება არ შეასრულა;

5 -6 ქულა - დავალება შეასრულა ძალიან ცუდად;

7-9- ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნების მინიმალურად გათვალისწინებით;

10-14 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის მხოლოდ ნაწილობრივი დაცვით;
15-18 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის უმეტესი ნაწილის დაცვით;
19-20 ქულა - დავალება შეასრულა მოთხოვნილი სტანდარტის სრული დაცვით.